



[RSS](#)

ძიება

Telekritika.ge გააკრიტიკე ახალი ამბები






- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [ახალი ამბები](#) / ქართვის საბჭომ გადაწყვეტილება ჟურნალისტის წინააღმდეგ მიიღო 2010.12.13

ქართვის საბჭომ გადაწყვეტილება ჟურნალისტის წინააღმდეგ მიიღო

[ახალი ამბები](#), [მედია](#),

ჟურნალისტური ეთიკის ქართვის საბჭომ დაადგინა, რომ კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორმა გელა მთივლიშვილმა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქართვის პირველი და მესამე მუხლები.

ქართვის პირველის მუხლის მიხედვით, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, ხოლო მესამე მუხლი ამბობს, ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.

საჩივარი ეთიკის საბჭოში გელა მთივლიშვილის წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ 15 ნოემბერს შეიტანა.

ორგანიზაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრს არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს.

ინფორმაციაში, რომელიც კახეთის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე 3 ნოემბერს გამოქვეყნდა, ინფორმაციის წყაროდ „მწვანე ალტერნატივა“ იყო მოხსენიებული.

მასალაში კახეთის რაიონში იმ მოსალოდნელ საშიშროებზე იყო საუბარი, რომელიც ამ მხარეს შესაძლოა ღვარცოფობების შედეგად მიადგეს.

ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის ქეთი გუჯარაიძის განცხადებით, ინფორმაცია, რომელიც საიტზე გამოქვეყნდა, არ გაუვრცელებია „მწვანე ალტერნატივას“ და არც მის რომელიმე წარმომადგენელს მიუცია ინტერვიუ კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტისთვის.

გელა მთივლიშვილი ამბობს, რომ ქარტიის საბჭო გადაწყვეტილების გამოტანისას არაობიექტური იყო.

„იმ დღეს რედაქტორი სხვა იყო და მე რა შუაში ვარ“, - ამბობს მთივლიშვილი.

ეთიკის ქარტიის სამჭოს თავმჯდომარე ეთერ თურაძის თქმით, გადაწყვეტილების გამოტანამდე საბჭომ მსჯელობას დიდი დრო დაუთმო და მიიჩნია, რომ მთივლიშვილმა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის მუხლები.

„როცა საბჭომ დასაშვებად სცნო ეს საკითხი და განიხილა, სხვადასხვა გარემოებებს დაეყრდნო, რომლის შესახებაც აუცილებლად გვექნება სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული აზრი. ეს არ იყო მარტივი, ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი სხდომა, რაც კი ჩავგიტარებია.“

მასალა, რომლის გამოც, საბჭოს გადაწყვეტილებით, გელა მთივლიშვილმა ქარტიის ორი პუნქტი დაარღვია, კიდევ სამ მედია საშუალებაში: გაზეთ „რეზონანსში“, საინფორმაციო სააგენტო „ჯიეიჩენზე“ და გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა. არასამთავრობო ორგანიზაცია თავდაპირველად ოთხივე მედია საშუალებას უჩიოდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტური ქარტიის ხელმძღვრეები მხოლოდ გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორი ელოსო ჩაფიძე და კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორი გელა მთივლიშვილი იყვნენ.

ქარტიის საბჭო წარმოებაში საქმეს მხოლოდ ეთიკის ქარტიის ხელმძღვრეი ჟურნალისტების შესახებ იღებს.

საბჭომ საჩივარი გაზეთ „რეზონანსის“ წინააღმდეგ დასაშვებად არ სცნო. „რეზონანსის“ ქარტიის ხელმძღვრეი რედაქტორი, ელისო ჩაფიძე გაზეთის მხოლოდ ორმაბათის ნომერის რედაქტორია. სტატია კი შაბათის ნომერში (30 ოქტომბერს) გამოქვეყნდა. იმ დროს მოქმედი რედაქტორი ქარტიის ხელმძღვრეი არ არის.

სტატია ღვარცოფების შესახებ, რომელშიც ინფორმაციის წყაროდ „მწვანე ალტერნატივა“ სახელდება, თავდაპირველად გაზეთ „რეზონანსში“ გამოჩნდა. მთივლიშვილი ამბობს, რომ ინფორმაცია სწორედ გაზეთ რეზონანსში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით გაავრცელა, თუმცა არ მიუთითებია.

მოგვიანებით, ამის გამო, კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორმა ვებგვერდის საშუალებით მკითხველს ბოდიში მოუხადა.

დაწყვილებით საბჭო თავის არგუმენტაციას სამოტივაციო წერილში ჩამოაყალიბებს, რომელიც, თურაძის თქმით, უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

ქარტიის სხდომა 11 დეკემბერს გაიმართა.

